ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1564644

ნომერი: AR1258892

თარიღი : 20.10.2014

გაცემის თარიღი : 30.10.2014

გაცნობის თარიღი : 30.10.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორი , N 1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით ვაშაკიძე პ/ნ 01024003923
- თბილისი ატენის ქ. N 18

ორგანიზაცია:
- დავით ვაშაკიძე არქიტექტს კოდი: 405046258

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის 21.01.2013 წ. #511380 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მინდობილმა პირმა დავით ვაშაკიძემ 20.10.2014 წ. #AR1258892 განცხადებით მომართა სამსახურს და მოითხოვა სამსახურის 21.01.2013 წ. #511380 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 21.01.2013 წ. ქ. თბილისში, ქუჩა გორი , N 1-ში არსებულ საკადასტრო ერთეულზე (საკად. კოდი: #01.13.07.016.022, ფართობი: 501 კვ.მ.) მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის (სავაჭრო-საოფისე) აშენების მიზნით დამტკიცებული იქნა #511380 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები, ხოლო ამავე სამსახურის 11.07.2013 წ. #786664 ბრძანებით ცვლილება შევიდა აღნიშნულ პირობებში.
განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 21.01.2013 წ. #511380 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას, ახალი ფუნქციის დაფიქსირებასთან დაკავშირებით, კერძოდ: მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის (სავაჭრო-სასტუმრო) დაფიქსირება.
დღევანდელი მდგომარეობით საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება იგივე პარამეტრები და პირობები (რაც #511380 21.01.2013 წ. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემის დროს) შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე შესაძლებელია განმცხადებლების მიერ მოთხოვნილი ფუნქციის დაფიქსირება.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება21.01.2013 წ. #511380 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 21.01.2013 წ. #511380 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: ობიექტის ფუნქციად დაფიქსირდეს – მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობა (სავაჭრო-სასტუმრო);
2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 21 იანვრის #511380 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების ფუნქციურ ზონად მიეთითოს საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ–2) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ–1);
3. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 21 იანვრის #511380 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს:
   - #140852713 (13.08.2014) მინდობილობა;
   - საპროექტო ტეიტორიაზე მოქმედი ფუნქციური ზონების სქემატური ნახაზი (იხ.დანართი);
   - ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი #28 (17.07.2013) (იხ. დანართი);
   - ქ. თბილისის მერის #1587 24.07.2013წ. განკარგულება (იხ. დანართი);
4. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 21 იანვრის #511380 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს შენიშვნის სახით დაემატოს:
   - დაცული იქნეს ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარი, შენობა–ნაგებობა განთავსდეს საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ–2)-ის არეალში;
   - ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების ანგარიში განხორციელდეს საპროექტო ტერიტორიაზე მოქმედ ფუნქციურ ზონებს შორის საზღვრის გათვალისწინებით (იხ. დანართი);
   - ქ. თბილისის მერის #1587 24.07.2013წ. განკარგულების შესაბამისად აღნიშნული მიწის ნაკვეთისთვის გაიცა სპეციალური ზონალური შეთანხმება და მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი განისაზღვრა კ1-0,8-ით;
5. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 21.01.2013 წ. #511380 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან და ამავე სამსახურის 11.07.2013 წ. #786664 ბრძანებასთან ერთად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.